№ 283 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი ხელიხალი მეორე

ფასი 1 მან. კვირა, 14 დეკემბერი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა"

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალი 50 № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით კერძო განცხადებანი პეტიტით 1 გვერდზე 3 მ., მეოთხეზე 2—50. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

კანტორიდან

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის.

გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მეოთხე გვერდზე 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

კვირას, დეკემბრის 14-ს დილით, ვიშემირსკაიას, დობროვოლსკაიას, მოლჩანოვის, ორჯონიკიძის და საბინინის მონაწილეობით

ფაუსტი და ვალპურგიის ღამე

სალამოს—ვოლ. ლევიცკაიას, იანსას, ზალიპსკის, ამირჯანის, ისკანდერის, ისეცკის, პოლიანოვის, დემიანენკოს, კურბატოვისა და ეზროვის მონაწილეობით „დუბროვსკი". ორშაბათს, დეკემბრის 15-ს მეორე გასტროლი ცნობილ მსახიობის ნინო კოშიცის „ფრიის ასული". სამშაბათს, დეკემბრის 16 ს „აბესალომი და ეთერი". ოთხშაბათს, დეკემბრის 3-ს ნინო კოშიცის მონაწილეობით რუსულ ენაზე „დემონი". ხუთშაბათს, დეკემბრის 18-ს მეორეთ ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე". 238 1—1

ქალაქის გამგეობა ტფილისიდან

დეკრეტის ძალით გადასახლებულთა საყურადღებოთ

აცხადებს, რომ, თანახმათ რესპუბლიკის ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს 3 დეკემბრის № 8587 განკარგულებისა, გადასახლებულთ ნება ეძლევათ გაიტანონ რესპუბლიკის საზღვრებიდან თითო ოჯახზე ერთი ნოხი. ამის შესახებ მოწმობებს იძლევიან უბნის საკანტროლო კომისიები, რომლებსაც დროზე უნდა მიმართონ დაინტერესებულმა პირებმა 235 3—2

საჯარო ვაჭრობა

25 დეკემბერს ნატანების საბაჟოს მიერ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება სად. ნატანებში: ნოხები, ძაფები, პაპიროსები, ფართლეულობა, ტყავეულობა, ლიმონის სიმჟავე, ბაწრები, შაქარი, კონიაკები და სხვ. საჯარო ვაჭრობა დაწყება დილის 10 საათზე 232 5—2

ოფიციალური განყოფილება.

გრძანება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.

13 დეკემბერი, 1919 წ. № 36.

ქალაქის მილიციის უფროსს ვუცხადებ მკაცრ საყვედურს გვარდიის დღეს ქუჩებზე საჭირო წესრიგის დაუცველობისათვის.

მთავრობის თავმჯდომარე
ნ. ჟორდანია.

მთავრობის საქმეთა მმართველი
კ. ჯაფარიძე.

დანართი 1 მე-2 მუხლისა.

ხელფასის ტარიფი.

ბორჯომის სახელმწიფო მამულის მუშა-მოსამსახურეებისა 1919 წლ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

ქართლის სახელმწიფო მამულის მოსამსახურეებისა 1919 წლის.

ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

მელვინე	1750
მევენახე	1750
მელვინის თანაშემწე	1500
ორი უფროსი ვენახის მუშა	1150
ვენახის მხვნელი	1100
ვენახის მუშა	1000
უფროსი მარნის მუშა	1100
მარნის მუშა	1000
მეკასრე	1400
კანტორაში მომუშავე	1650
მწერალი	1200
გზირი დარაჯი	1000
ნოქარი მაგაზინერი	1500
მემანქანე	1500
მემანქანის თანაშემწე	1400
გამთბობი	1250
შენობის შემკეთებელი ხელოსანი	1500
დურგალი	1400
მჭედელი	1400
მჭედელი-მეჩაქუჩე	1250
ღამის დარაჯი	1000
მეეზოვე	1000
მეველე	1000
ეტლის დამატებითი ჯილდო	1000
ფერშალი	1500
უფროსი მეეტლე	1200
მეეტლე	1100
მეჯინიბე საქონლის მომვლელი	1100
საწყობის გამგე	1500
მებაღე	1100
ბაღის მუშა	1000
მილიციონერი დარაჯი	1400
გუთნის დედა	1100

ხელფასის ტარიფი.

ყარდანახის სახელმწიფო მამულის მოსამსახურეთა 1919 წ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

უმცროსი მეზვრე	1500
მოსამსახურე და მუშა უმეტესი ჯამაგირით	1200
მოსამსახურე და მუშა უმცირესი ჯამაგ.	1000

ხელფასის ტარიფი.

მანავის სახელმწიფო მამულის მოსამსახურეებისა ნოემბრის 1-დან 1919 წ. 40% მომატებით.

უმცროსი მეზვრე	1500
მწერალი	1200
მუშა მომატებული ჯამაგირით	1200
მუშა უმცირესი ჯამაგირით	1100

ხელფასის ტარიფი.

ვაჭევის სახელმწიფო მამულის მოსამსახურეებისა 1919 წ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

უფროსი მეზვრე	1250
მუშა მომატებული ჯამაგირით	1100
მუშა საშუალო ჯამაგირით	1050
მუშა უმცროსი ჯამაგირით	1000

ხელფასის ტარიფი.

სკრის მამულის მოსამსახურეებისა 1919 წ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

მებაღე	1200
უფროსი მებაღე	1300
კლიტის მცველი	1100
მეჯინიბე და მეხრე	1100
მწყემსი	1000
დარაჯი	1000
წლიური მუშა	1000
დარაჯი	1000

ხელფასის ტარიფი.

ნაფარეულის სახელმწიფო მამულის მოსამსახურეებისა 1919 წ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

მეზვრე	1750
უმცროსი მეზვრე	1500
უფროსი მემარნე	1250
მარნის მუშა	1100
ვენახის უფროსი მუშა	1250
ვენახის მხვნელი	1100
ვენახის მუშა	1000
კანტორის მოხელე	1650
მწერალი	1200
მწერალი მაგაზინერი	1500
შიკრიკი	1500
ზეინკალი მემანქანე	1500
დურგალი მეურმე	1400
მჭედელი	1400
მჭედელი-მეჩაქუჩე	1200
მეეზოვე	1000
ღამის ყარაული	1000
მეველე	1000
ფერშალი	1500
მოსამსახურე ქსენონისა	1000
უფროსი მეეტლე	1200
მეეტლე	1100
მეჯინიბე	1100
მეურმე	1100
ვარდის პლანტაციის ყარაული	1000

ხელფასის ტარიფი.

გიაურ-არხის სახელმწიფო მამულის მოსამსახურეებისა 1919 წ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

მუდმივი მუშა	1100
მეწისქვილე	1300
კანტორის მოსამსახურე	1650
მანქანით გადამწერი	1200
მწერალი მაგაზინერი	1400
ნოქარი	1500
მეველე	1500
ფერშალი	1500
მემანქანე	1500
მჭედელი	1475
დურგალი	1475
უმფროსი ცხენოსანი დარაჯი	1300
უმცროსი ცხენოსანი დარაჯი	1100
კანტორის დარაჯი	1000
ხაბაზი	1000
მზარეული	1000
უფროსი ჯენევარი	900
უმცროსი „	700
გუთნის დედა	1100
გუთნის დედა მცირე ჯამაგირიანი	1000
მეეტლე	1250
მეჯინიბე	1100
მწყემსი	1000
მებაღე მევენახე	1500
მამულის გამგის თანაშემწე	2500

ხელფასის ტარიფი.

ვარციხის სახელმწიფო მამულის მოსამსახურეებისა 1919 წლის ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

მოურავის თანაშემწე	2200
შამპანისტი მელვინე ფრანგი	2500
შამპანისტი დეგორჟისტი	1750
მელვინე	1750
მევენახე	1750
მარნის მუშა მომეტებული ჯამაგირით	1250
მარნის მუშა საშუალო ჯამაგირით	1175
მარნის მუშა დაბალი ჯამაგირით	1100
ვენახის მუშა მომეტებული ჯამაგირით	1250
ვენახის მუშა საშუალო ჯამაგირით	1175
ვენახის მუშა უმცირესი ჯამაგირით	1100
კანტორის მოხელე ბუხჰალტერი	2200
მწერალი	1200
სამეურნეო ნაწილის გამგე ნოქარი მაგაზინერი	1500
ფერშალი	1500
მემანქანე ზეინკალი	1500
თანაშემწე მემანქანის ზეინკალი	1400
ზეთის წამსმელი	1250
გამთბობი	1250
მჭედელი	1475
დურგალი-თვლების მკეთებელი	1475
მეკასრე	1400
მეეტლე	1200
მეურმე	1200
ღამის დარაჯი	1175
მოსამსახურეთათვის მოჯამაგირე	1000
კანტორის მოსამსახურე	1100
მრეცხავი	1000
საავადმყოფოს მოსამსახურე	1000
მეეზოვე	1100

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომრის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომრე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

მისალმებანი.

მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშები მიიღო:

მეჯვრის-ხევიდან:

„იმ ქარცეცხლის შემდეგ, რომელიც მეჯვრისხევზე გადაიტანა, ადგილობრივი სათემო ერობის ენერგიული მოქმედებით დღეს, 7 დეკემბერს ოფიციალურათ გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. ადგილობრივი ერობა და საზოგადოება გისურვებთ დღეგრძელობას ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის საკეთილდღეოთ".

ერობის თავმჯდომარე ვ. **ოქრუაშვილი.**

ახალ-ციხიდან:

„მესხეთის ერობის ხმოსნების პირველი ყრილობა მოგესალმება დემოკრატიის ჭაღარა ბელადს და მშრომელთა მებაირახტრეს და ფიცს სდებს, რომ ის პირნათლათ შეასრულებს იმ მძიმე მოვალეობას, რომელსაც აკისრებს მას მრავალი ტანჯვა განცდილი მოსახლეობა მაზრისა იმ მტკიცე რწმენით, რომ იგი ღირსეულათ დააგვირგვინებს რევოლიუციის მონაპოვარს და ძირს არ დაბრის სისხლის მორევში ამოვლებულ წითელ დროშას".

ყრილობის თამჯდომარე ვ. **ალიხანოვი.**

საგარეო საქმეთა სამინისტროში.

საქართველოს ხალხთა ლიგის საზოგადოების დეპეშა ხალხთა ლიგის მესამე კონფერენციას.

ბრიუსელი. ერთა ლიგის მესამე კონფერენციის თავმჯდომარეს ასლი, ინგლისის ერთა ლიგის თავმჯდომარეს ვიონტ გრეის ოფ. ფალოდან: ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოება მხურვალე სალამს უძღვნის ერთა ლიგის საზოგადოების მესამე კონფერენციას ბრიუსელში და გამოსთქვამს გულწრფელ სურვილს, რომ მისი მუშაობა დაგვირგვინებულ იქნეს იმ დიადი აზრების სრული გამარჯვებით, რომლებიც საფუძველად უძევს ერთა ლიგის საზოგადოებას.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თავისუფალი სახელმწიფო საქართველო დიდი ტანჯვის შემდეგ კვლავ აღსდგა და დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახით შემოდის, როგორც ახალი წევრი ხალხთა საერთაშორისო ოჯახში. ქართველი ერი იმედოვნებს, რომ ის დიდი მსხვერპლი, რომელიც მან მიიტანა კა-

ცობრიობის და კულტურის საკურთხეველზე, თავის ისტორიულ დასაბამიდან დღევანდელი საშინელი ომის დასრულებამდე და მისი გადაულახავი ისტორიული უფლებები ჯეროვნათ დაფასდება საერთაშორისო სამართლიანობის წინაშე.

საქართველოს საზოგადოება ნიშნავს თავის სრულუფლებიან წარმომადგენლებად ერთა ლიგის ბრიუსელის მესამე კონფერენციაზე ნიკოლოზ **ჩხეიძეს** და ზურაბ **ავალიშვილს**.

ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარე **ლიშთაოთიძე**.

მდივანი **საყვარელიძე**.

—

პოლონეთის ელჩი საქართველოს ელჩთან სტამბოლში.

29 ნოემბერს პოლონეთის ახალი ელჩი კონსტანტინეპოლში ბ-ნი იოდკო სადარბაზოდ იყო საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელთან ბ-ნ გ. რცხილაძესთან. საუბარი ხანგრძლივი იყო და მეტად გულწრფელი. პოლონეთის ელჩმა განუცხადა ბ-ნ რცხილაძეს, რომ პოლონეთი დიდის სიმპატიით უცქერის საქართველოს და უსურვებს მას პოლიტიკურ წარმატებას. ბ-ნმა იოდკომ იმედი გამოსთქვა, რომ საქართველსა და პოლონეთის ადგილობრივ მისსიებს შორის უგულითადესი დამოკიდებულება დამყარდება. სხვათა შორის სთხოვა, რომ ის საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ ნ. ჟორდანიას კარგად იცნობს შეეცარიიდან და სთხოვა პირადი სალამის გადაცემა მისთვის.

შინაგან საქ. სამინისტროში.

გორის სამაზრო ერობის მეორე რაიონის საადგილ-მამულო ფონდის გამგის დადგენილებით მრეწველ ჩიქოვანისთვის ჩამოურთმევიათ ცარცის წარმოება. ამის გამო ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო და მასთან არსებული სამთო სამმართველო სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს, მოახდინოს სათანადო განკარგულება, რათა დაუბრუნონ პატრონს ცარცის საწარმოო ქარხანა რადგანაც სამთო კანონების მიხედვით (§ 1 სამთო წესი) ცარცი მადნათ არის აღიარებული და როგორც ასეთი შეადგენს სახელმწიფო მეურნეობის ღირებულებას, რომლის გამგებლობა მხოლოთ სახელმწიფოს ეკუთვნის.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დეპეშით აუწყა გორის სამაზრო ერობას ზემოაღნიშნული და წინადადება მისცა დადგენილება ჩიქოვანის ცარცის წარმოების ჩამორთმევის და იჯარით გაცემის შესახებ გააუქმოს.

დახმარება უკანონოთ შობილების აღმზრდელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რათა ქუთაისის გუბერნიის მიგდებულ ბავშვთა აღმზრდელებს მიეცეს 1917—1918 წ. წ. ჯამაგირი, რომელიც შეადგენს 74,000 მანეთს.

ერობისთვის გადაუცემელ გზების შესახებ.

საერობო გზები, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში იყო, ზოგი უკვე გადაეცა ერობებს. დარჩა სვანეთის ბილიკი, ბორჯომ-ახალქალაქის და ბეზობდალის გზა გადაუცემელი. რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროს ტექნიკური განყოფილება გაუქმდა და გზები უმეთვალყუროთ დარჩა,—სამინისტრომ გზათა დეპარტამენტს მიმართა ხსენებული გზები მიიღოს. გზების გადაცემამდე მოსამსახურეთა მდგომარეობა გამოურკვეველი რჩება. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას, რათა ხსენებულ გზებზე მომუშავეთ მიეცეთ დამატებითი ჯამაგირები 1 აგვისტოდან 1920 წლ. 1 იანვრამდე, რაც შეადგენს 144,430 მან. ხარჯს.

გვარდიის დღე.

დემოკრატიის ზეიმი.

12 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიის ღვიძლმა შვილმა სახალხო გვარდიამ ზეიმით გადაიხადა თავისი დღესასწაული.

მთელმა საქართველოს დემოკრატიამ ამ დღეს მოახდინა თავისი ძალების მობილიზაცია.

ტფილისში ეს დიდი დღე ბრწყინვალედ ჩატარდა.

ამ დღემ დაანახვა ყველას თუ რის გაკეთება შეუძლია რევოლიუციონურ დემოკრატიის უტეხ ნების ყოფას, სათუთ მაღალ იდეებისაკენ მისწრაფებას და მტკიცე რევოლიუციონურ ბრძოლას.

12 დეკემბერს ეს სისხლით შეღებული წითელი დროშა ამაყად ფრიალებდა ბრძოლაში განაწრთონ პროლეტართა ხელში.

12 დეკემბრის დღე—ღირსეული დღესასწაული იყო ბრძოლაში განაწამებ რევოლიუციონურ რაზმებისა.

ამიერიდან ეს დღე გადაიქცა მთელი ერის სადღესასწაულო დღეთ და ღირსეულათაც.

განა ამ სახალხო გვარდიამ არ შეჰქმნა ის მტკიცე დემოკრატიული სახელმწიფოებრივობა, ის რევოლიუციონური ოაზისი, ის ძლიერი პირამიდა, რომლის მწვერვალზედაც თამამათ და ამაყათ ფრიალებს დემოკრატიის სისხლით შეღებული წითელი დროშა, და რომლის მტკიცე კედლებს უშედეგოთ ეხეთქებოდა ამ 2 წლის განმავლობაში სხვა და სხვა იმპერიალისტური და რეაქციონური ძალები.

ჰეშმარიტათ, საქართველოს სახალხო გვარდია გადაქცა სამოქალაქო და ეროვნულ თავისუფლების სიმბოლოთ!

მზადება.

ჯერ კიდევ 11 დეკემბერს დაიწყო ტფილისმა მზადება დღესასწაულის გადასახდელათ.

სახლები და ქუჩები სადღესასწაულოთ იკაზმებოდა; დაიწყო მორთვა მწვანე გრეხილებით, ხალიჩებით და სახალხო გვარდიის ცხოვრებიდან ამოღებულ სურათებით.

12 დეკემბერს დილა ადრიანათ დაიწყო ხალხმა დენა რუსთაველის პროსპექტისკენ, ყველას სახეზე სიხარული ეტყობა. სუსხიანი დილა ხელს არ უშლის მოქალაქეთ.

დილის 9 საათზე იწყო დენა სასახლისა და რუსთაველის პროსპექტისკენ სახალხო გვარდიის და რეგულიარულ ჯარების რაზმებმა წითელი დროშებით.

მალე გამოჩნდენ პროფესიონალურ კავშირთა დელეგატები, რომლებმაც დაიჭირეს ადგილები ქუჩის ორივე მხარეს სასახლიდან „დიდების ტაძრის“ შენობამდე.

გამოჩნდა მორთულ მოკაზმული ავტომობილები.

დღესასწაულს სახალხო—ეროვნული ხასიათი ეძლევა.

სახალხო გვარდიის ქვეითა რაზმები დაიწყო რუსთაველის პროსპექტის სამხრეთის მხარეზე, შემდეგ ამავე მხარეზე ოლლას ქუჩისკენ დაიწყო გვარდიის არტილერია, სპეციალური ნაწილები, შემდეგ ავტომობილების რაზმი, მოტოციკლეტები ტყვიის-მფრქვეველებით და ჯავშნიანი ავტომობილები.

პროსპექტის ჩრდილოეთის მხარეზე დაიწყო: სამხედრო სასწავლებელი, რეგულიარული ჯარის ქვეითა ნაწილები, ცხენოსანი ათასეული, არტილერია და სპეციალური ნაწილები.

სასახლის წინ მოწყობილია ამაღლებული ფიცრული წითელი დროშით და მწვანე გრეხილებით მორთული, სადაც მოთავსდნენ მთავრობის სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის და დამფუძნებელ კრების წევრნი და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი.

სასახლის პირდაპირ მოწყობილია აგრეთვე ამაღლებული ადგილი, სადაც მოთავსდა რამდენიმე ორკესტრი.

ჯარის დათვალიერება.

11 საათზე დამფუძნებელ კრების ქუჩის მხრიდან გამოჩნდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, რომელსაც გვერდში უდგნენ სახალხო გვარდიის ბელადნი ვალ. ჯუღელი და ა. დგებუაძე, დამფუძნებელ კრების თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე და სხ.

ხალხი ტაშის-კვრით და „ვაშას“ ძახილით ეგებება თავის ბელადებს, უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელნი ფეხზე მდგომნი ესალმებიან.

მთავრობის თავმჯდომარე ზევით მიემართება სახალხო გვარდიის რაზმების და სამხედრო ნაწილების დასათვალიერებლათ, რომლის ბოლო ოლლას ქუჩას ბოლომდე აღწევდა.

შეერთებული მუსიკა უკრავს ქართულ ჰიმნს, მარსელიეზას და შემდეგ სხვა და სხვა ეროვნულ მუსიკალურ ნაწარმოებს. ორკესტრს ხელმძღვანელობენ კომპოზიტორები კ. ფოცხვერაშვილი და ზ. ფალიაშვილი.

ა ღ ლ უ მ ი.

12 საათზე მთავრობის თავმჯდომარემ დაამთავრა გვარდიის და ჯარის დათვალიერება და ამაღლებულ ადგილზე ადის.

ორკესტრმა დაუკრა მარში და გამოჩნდა აღლუმის ხელმძღვანელი გენ. იოს. გედევანიშვილი.

ახლო-მახლო ქუჩები, აივნები და სახურავები სასახლის ახლო მახლო და მთელი პროსპექტი სავსეა ხალხით, რომელიც მოუთმენლათ მოელის ჯარის დაძვრას.

აგერ გამოჩნდა კიდეც სახალხო გვარდიის პირველი ბათალიონი.

აქეთ-იქით ჩამწკრივებულ წითელ დროშათა შუა ამაყათ მოფრიალებს პირველ რევოლიუციონურ რაზმის წითელი დროშა.

გვარდია მწყობრათ მოდის, თვალებში მოვალეობის შეგნება, იმედი, მისწრაფება გამოსჭვივის.

პირველ რაზმს მოჰყვა მეორე და დაიძრა პატარა წითელი ბაირაღებით მორთულ თოფების ზღვა.

გვარდია სამაგალითო სიმწყობრითა, კარგა ჩაცმული და თამამათ მოდის.

ხალხი სულგანაბული ადევნებს თვალ ყურს და დრო და დრო გამოსთქვამს თავის აღტაცებას.

$1^1/_2$ საათის განმავლობაში გვარდიის და ჯარის ნაწილები განუწყვეტლივ მოდის.

დაახლოვებით 2 საათზე აღლუმი დასრულდა და ხალხი ნელნელა იშლება.

საღამოთი.

მთელ დღეს საზეიმო ელფერი ეძლევა. სადღესასწაულო წარმოდგენებს აუარებელი ხალხი აწყდება; ქუჩები სავსეა მოსიარულე ხალხით, მამადავითის მთიდან გვიანობამდე შუშხუნებს უშვებენ და ცის სივრცე დრო და დრო მრავალფეროვანდება. ქალაქი ზეიმობს

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში

მეთამბაქოეთა ყრილობა.

მეთამბაქოეთა მომავალ ყრილობაზე, რომლის ორგანიზაციის მრწყობა იკისრა „ოქრონს ვერძმა“, სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომიტეტმა თავის წარმომადგენლობა სთხოვა კომიტეტის წევრს ბ-ნ ვასილ ბერელაშვილს.

საქართველოსთვის საჭირო საქონელი.

სავაჭრო-სამრეწველო პალატამ გაუგზავნა მომარაგების სამინისტროს სია საქონლისა, რომელიც საქართველოს დასჭირდება ექვსი თვის განმავლობაში.

პალატის კორესპონდენტი სპარსეთ-თურქეთან ადერბეიჯანში.

სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ბ-ნი კარმა დანიშნა თავის კორესპონდენტად ადერბეიჯანსა, სპარსეთსა და თურქეთანში.

დამფუძნ. კრების თავმჯდომარის ამხანაგი და

მიწათ-მოქმედების მინისტრი რაჭაში.

1 დეკემბერს დ. ონს (რაჭის მაზრა) ეწვია დამფ. კრების თავმჯდომარის ამხანაგი ალ. ლომთათიძე და სამიწათ-მოქმედო მინისტრი ნ. ხომერიკი. მათ ონში გამართეს მიტინგი, ხალხი აღტაცებით შეხვდა ძვირფას სტუმრებს, გულდასმით მოისმინეს მათი დარიგება და აღუთქვეს ყოველმხრივი დახმარება. მიტინგის დასრულებისას აუხსნეს სოფლის საჭიროებანი. გამოირკვა, რომ ყველაზედ მწვავედ ამ ჟამათ სდგას გზის საკითხი. ხალხმა მინისტრს სთხოვა, რათა გზებს მეტი ყურადღება მიექცეს და თუ შესაძლებელია გაყვანილ იქნეს რკინის გზაც. აგრეთვე სთხოვეს დახმარება სურსათით, ფართლეულობით და სხვა პირველ მოთხოვნილების საგნებით. ამ ჟამად რაჭა სიმშილის წინაშე სდგას. თუ დროზე არ იქნა ზომები მიღებული, მოსალოდნელია ეს გარემოება დიდ საფრთხეთ მოევლინოს ხალხს. მინისტრმა ყურადღებით მოისმინა ხალხის თხოვნა და აღუთქვა მათ ყოველგვარი დახმარება.

სატარიფო პალატაში.

სატარიფო პალატის პლენუმმა შემდეგი სატარიფო პალატის პროექტი მიიღო:

1) დაქირავებული შრომის საკითხის სათანადოთ მოსაგვარებლად ყველა დარგში წარმოებისა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში და სახალხო მეურნეობის ინტერესების და შრომის დასაცავად შრომის სამინისტროსთან არსდება სატარიფო პალატა.

შენიშვნა. სატარიფო პალატის გამგებლობაში არ შედიან ის პირები, რომლებიც დაწესებულებებში ასრულებენ საადმინისტრაციო თანამდებობას.

2) სატარიფო პალატა შესდგება თანაბარ რიცხვითი წარმომადგენლებისაგან მუშებისა და სამუშაოს მიმცემ ორგანიზაციების, რომლებსაც ნიშნავს შრომის სამინისტრო.

3) სატარიფო პალატის მიერ დადგენილი ხელფასი სავალდებულოა, როგორც დამქირავებლისათვის ისე დაქირავებულთათვის.

4) თუ დამქირავებელი დაქირავებულთ სატარიფო პალატის დადგენილების თანახმათ არ მისცემს ხელფასს—ასეთი გამოერიცხება 1917 წლის 2 დეკემბერის კოლექტიურ დადგენილების თანახმათ და აგრეთვე 5% გადახდება ჯარიმა საავადმყოფო კასის სასარგებლოთ თანახმათ იმ ხელფასის ჯამისა, რამდენიც დაქირავებულთ ერგებათ.

4) სატარიფო პალატის მოთხოვნილებისამებრ დამქირავებელნი და გამგენი დაუსებულებისა ვალდებულნი არიან სატარიფო პალატის რწმუნებულებს გადაეცეს ანგარიშები და წყობილები, რომლებიც სატარიფო პალატის საქმეს შეეხება.

6) პროვინციებში ტარიფის დაწესებისათვის სატარიფო პალატა აარსებს სამგზავრო სესიას იმავე პრინციპზე აგებულს, როგორც თვით პალატაა.

7) პალატის შემადგენლობა და საქმოლვაწეობა, უფლება და მოვალეობა ისაზღვრება თანახმათ გამომუშავებულ დებულებისა შრომის მინისტრის დამტკიცებით.

8) სატარიფო პალატასთან არსებობს კანცელარია.

9) ხარჯები სატარიფო პალატისა დაიფარება სახელმწიფო ხაზინიდან გამომუშავებულ ხარჯთ-აღრიცხვის თანახმათ.

10) ეს დებულება ძალაში შედის დღიდან მის დამტკიცებისა.

ქალაქის გამგეობაში.

სასურსათო ბარათების მიცემის შესახებ.

ქალაქის გამგობის სასურსათო განყოფილება აცხადებს, დაწესებულებათა და სამრეწველოთა მეთაურების საყურადღებოთ, რომ სასურსათო ბარათების მისაღებათ შედგენილი მუშა-მოსამსახურეთა სიები სასურსათო განყოფილებაში წარდგენამდე ხელმოწერილი უნდა იქნეს პროფესიონალურ კავშირთა გამგეობებისა და შრომის სამინისტროს მიერ. ამიტომ ხელნაწერი სიები უნდა გაეგზავნოს შრომის სამინისტროს.

ერობა.

ერობათა კავშირში.

ერობათა კავშირმა დაადგინა: ქუთაისის ერობა ტელეგრამით აცნობებს კავშირს, რომ მთავრობის მიერ კანტროლის გავრცელება მილიციისათვის და სახალხო განათლებისათვის გაცემულ კრედიტებზე იწვევს აუტანელ ტექნიკურ დაბრკოლებებს, რის გამოც საქმეები ძლიერ ფერხდება. კავშირმა დაადგინა: მიენდოს სტურუას შუამდგომლობის მხარის დაჭერა და გამორკვევა ამ საკითხისა.

ქუთაისის სამაზრო ერობაში.

სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა მიწათ მოქმედების მინისტრის წინაშე, რომ უფრო მიზან-შეწონილათ და სამართლიანათ იქნას მოხმარებული საძოვარი აგარეკები—ასეთები მიეცეს იჯარით სათემო ერობის გამგეობებს, ვინაიდან კერძო პირებზე იჯარით გაცემა უსპობს ხალხს საშუალებას ისარგებლოს ასეთი ბუნებრივი სიმდიდრით.

—

გამგეობამ გადასწყვიტა აღძრას სათანადო შუამდგომლობა, რათა გადაეცეს სამაზრო ერობას ის ფონდში გადასული მიწები, რომლებსაც ძველათ მუდმივათ ამუშავებდენ ქალაქ ქუთაისის განაპირა უბნებში მცხოვრებნი ამავე მცხოვრებზე გადასაცემათ იჯარით.

—

მაზრის კომისრის თანაშემწეს და მაზრის მილიციის უფროსს სამაზრო ერობის გამგეობამ მათი მცირე ჯამაგირების გამო პირველ დეკემბრიდან არსებულ ჯამაგირებზე თვითეულს ხუთას ხუთასი მანეთი მიუმატა თვიურად ამ ჯამაგირებზე 40% მიმატების გავრცელებით.

—

სამაზრო ერობის გამგეობას თითქმის ყველა თემებიდან მოდის ცნობა, რომ სანიტარული გადასახადი შეწერილია და აკრება წესიერად მიმდინარეობს. მაზრაში იგზავნებიან ერობის თანამშრომელნი. გადასახადის აკრეფის მსვლელობის სარევიზიოთ და სათანადო ინსტრუქციების მისაცემათ.

—

გოგირდი და შაბიამანი ერობათა კავშირის მიერ გადაცემულ იქნება სამაზრო ერობებზე თანახმათ ერობათა მიერ გამოწერილ რაოდენობისა. კავშირი თვით არავის გადასცემს მათ გარეშე. ამის გამო, მიეწეროს ერობებს ეს დადგენილება და ეთხოვოს რიცხვის განსაზღვრის დროს მიიღონ მხედველობაში, რომ დაუკითხავათ გოგირდი და შაბიამანი არავის მიეცემა. ამიტომ დაკვეთის დროს მათ უნდა მიიღონ მხედველობაში მთელი საჭიროება მაზრისა და იმ საზოგადოებისა, რომელნიც მიმართავენ მათ ამისათვის.

—

ლეჩხუმის მაზრის ერობის ტელეგრამითი განცხადება შესახებ მათ ხარჯზე იქ საქონლის ექიმის გაგზავნის შესახებ კავშირმა დაადგინა: მიენდოს ის. სტურუას შუამდგომლობის მხარის დაჭერა სამინისტროს წინაშე.

ასურეთის თემის ყრილობა.

ამა წლის 14 დეკემბერს შესდა ასურეთის თემის ხმოსანთა საბჭოს ყრილობა, რომელზედაც დასასწრებლად გაემგზავრა ტფ. მაზრის ერობის გამგეობის წევრი ბ-ნი იშხანოვი.

—

საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ წინადადება მისცა ტფილისის მაზრის ერობის გამგეობას იდოს თავის თავზე, სახელმწიფო ფოსტისა და აგრეთვე ფულის გადაგზავნ-გადმოგზავნის საქმე აღმულად მანგლისის მიმართულებით. ამ საქმის შესახებ ამ ჟამად მუშავდება პირობები ამ ორ დაწესებულებათა შორის.

სალამოს კურსები.

ტფ. მაზრის ერობის გამგეობის დავალებით ადგილობრივ მცხოვრებ მღვდელ ნ. კანდელაკს მოუწყვია ზემო ავჭალაში მოზრდილთათვის სალამოს კურსები. მეცადინეობა წარმოებს ყოველ სალამოს, ჯერ-ჯერობით გახსნილია ორი განყოფილება, სადაც გადიან შემდეგ საგნებს: სამშობლო ენის წერაკითხვის ცოდნას, ანგარიშს, ბუნების მეტყველებას, საზოგადო ისტორიას და საქართველოს ისტორიას, მსმენელთა რიცხვი არის 46, რომელთგანაც 22 ქალია და დანარჩენი ვაჟები.

საერობო სკოლების დათვალიერება გარე-კახეთის რაიონში.

ტფილისში დაბრუნდა გარე კახეთიდან ტფ. სამაზრო ერობის სახალხო განათლების განყოფილების ინსტრუქტორი—გამგე ბ-ნი ი. გომელაური, რომელსაც დაუვლია თითქმის მეტი წილი საერობო სკოლებისა დაწყებული მარტყოფიდან ვიდრე მანავამდე.

მისი გადმოცემით ყველა სკოლებზე უფრო კარგ შთაბეჭდილებას ახდენს საგარეჯოსი და მანავის სკოლები; მეტადრე მანავისა, რომელიც მასწავლებელ ფირანიშვილის მეცადინეობით ჩაითვლება საუკეთესო სკოლათ, როგორც სწავლის დაყენების მხრივ, აგრეთვე თვით სკოლის მოვლისა და პატრონობის მხრივაც. ამის გამო ბ. ფირანიშვილს გამგეობამ გაუგზავნა სამადლობელი წერილი.

ჟურნალების გამოწერა.

ტფ. მაზრის ერობამ მის განკარგულებაში არსებულ ყველა სახალხო საერობო სკოლებს თავის ხარჯით გამოუწერა შემდეგი ჟურნალები: „ჯეჯილი“, „ნაკადული“ „განათლება„ და ქართული სკოლებისათვის შეიძინა ქართული მოძრავი ასოები.

უცხოეთი

(საქართვ. დეპ. სააგ.).

მოსკოვი. ჰელსინგფორსი. დეკ. 8. დანიის, შვეიცის, ნორვეგიის და ფინეთის სოც.-დემოკრატების და პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლებმა დაადგინეს 1920 წელ. 21 იანვარს კოპენჰაგენში მოიწვიონ სკანდინავიის მუშათა კონგრესი. ჰელსინგფორში. დეკ. 10 სტამბოლში აღმოაჩინეს შეთქმულება, რომელსაც მიზნათ ქონდა სულთანის ჩამოგდება და დიდი სულთანის აბდულ-გაბიდის შვილის მემკვიდრეთ გამოც. **სმოლ.** დეკ. 10 ჩრდილო დასავლეთის მთავრობის „ვესტნიკ“ი იუწყება, სოფიაში სასახლის წინ აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი და მეფის გადადგომას მოითხოვდა. სამხედრო ნაწილებმა დემონსტრატები გაჰფანტა.

ლიონი. დეკ. 9. ამერიკის ბეჭდვითი ბიუროს წარმომადგენელთან საუბრის დროს დ—ანუნციომ განაცხადა, ის არც იმპერიალისტია, არც მილიტარისტი, მაგრამ ის პოეტია, რომ მისი იდეალები პოეტის იდეალებია. ჯარისკაცათ შევიდა ამბოლოთ იმიტომ, რომ მისი სულიერი მისწრაფება იყო გესწორებია უსამართლობა.

ლიონი. დეკ. 9, დღევანდელ სხდომაზე უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა პოლონეთს სამხრეთ-სლავიას პორტუგალიას, საბერძნეთს და რუმინიას მიეცეს გერმანიის და ავსტრიის ფლოტიდან განსაზღვრული რიცხვი საყარაულო გემისა. ამ გემებს გადაცემამდე განიარაღებენ, მაგრამ ამ სახელმწიფოებს უფლება ეძლევათ ინგლისის და საფრანგეთის ქარხნებში შეიძინონ ზარბაზნები და გემები ისევ შეაიარაღონ.

მოსკოვი, დეკემბრის 11. საბჭოთა მთავრობის რწმუნებულმა ლიტვინოვმა კოპენგაგენში მოკავშირეთა ელჩებს გაუგზავნა მე 7 ყრილობის რეზოლიუცია საზავო წინადადებით. წერილით მან აუწყა ელჩებს, რომ ის რწმუნებულია და შეუძლია წინასწარი მოლაპარაკება აწარმოოს. ასეთივე განცხადება გაუგზავნეს კოპენჰაგენში ინგლისის დელეგატს ო'გრედის.

ჯ-ს დივიზიის შტაბი. დეკემბ. 11 დენიკინის ტყვეობიდან გამოქცეული წითელი არმიელი გადმოგვცემს: მტრის 9 ცხენოსანი პოლკი, რომელიც ჩვენს წინაღმდეგ იბრძოდა ძლიერ დაზიანდა. ფრონტის რაიონებში ყველა მამაკაცების მობილიზაცია გამოაცხადეს. ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია ჯარში გაჰყავთ. მტრის ნაწილებში უსურსათობის გამო უკმაყოფილება იზრდება. ქვეითა ნაწილებში დეზერტირობა გაძლიერებულია. მტრის ჯარს დიდ ზარალს აყენებს ძლიერ გავრცელებული სახადი. № ის ფრონტის შტაბის ცნობით გროზნოსთან (?) მწვანე არმიელებმა დენიკინის ორი პოლკი დაამარცხეს. ხელში ჩაიგდეს 5 ზარბაზანი და ტყვიისმფრქვეველები. ტუაპსე და მაიკოპი მწვანეების ხელშია. დერბენტი და ნახევარი პეტროვსკი აჯანყებულებმა ჩაიგდეს ხელში.

სასამართლოს სენატში.

საქართველოს სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტში მოსასმენად დანიშნული საქმეებისა.

1919 წ. დეკემბრის 18-ს დანიშნულია სხდომა დილის 10 საათზე; გასარჩევი საქმეებია:

1. საქმე № 18. ბრალდებულ გეორგ ოვაკის ძის გრიგორიარნცის დამცველის ნაფ. ვექილის მალალაშვილის საკასაციო საჩივარი ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე. ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 2 ნაწ. 913 მუხ. სასჯ. დებ.

2. საქმე № 23. ბრალდებულ ლავრენტი თოთაძის საკასაციო საჩივარი ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე. ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 2 ნაწ. 1455 და 1456 მ. სასჯ. დებ.

3. საქმე № 25. ბრალდებულ ნიკოლოზ გიორგის ძის რუსთიშვილის საკასაციო საჩივარი ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე. ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 2 ნაწ. 1180[1] მუხ. სასჯ. დებ.

4. საქმე № 29. სამოქალაქო მომჩივრის იაგორ სარაფანოვის ვექილის სპექტორის საკასაციო საჩივარი ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე. გრიგორი ჰოდპლეტიონნის საქმეზე, რომელსაც ბრალდება დანაშაული გათვალისწინებული 2 ნაწ. 1483 მუხ. სასჯ. დებ.

5. საქმე № 85. ბრალდებულ თევდორე ნიკოლოზის ძის გოგიას (კერძო) კასაციური საჩივარი სოხუმის ოლქის სასამართლოს დადგენილებაზე კასაციური საჩივრის მიუღებლობის შესახებ.

სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების საკრებულოს სხდომა დანიშნულია 20 დეკემბერს, განსახილველია შემდეგი საქმეები:

1. საჩივარი ტფილისის ქალაქის გამგეობის რწმუნებულის-ნაფიცი ვექილის ამირხანოვისა ტფილისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებაზე—ტფილისის ქალაქის გამგეობის 1918 წლის 11 ოქტომბრის განკარგულებით არტემია მეზუროვის სახლში კონტორა „ეროეაიასათვის“ ბინის მიცემის შესახებ.

2. საჩივარი ტფილისის ქალაქის გამგეობის რწმუნებულის—ნაფიცი ვექილის ამირხანოვისა ტფილისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებაზე ტფილისის ქალაქის გამგეობის 1918 წლის 3 თებერვლის განკარგულებით ალექსანდრე შამოვის ბინის სუხოროუკოვისათვის გადაცემის შესახებ.

3. საჩივარი ქალაქ ტფილისის გამგეობის რწმუნებული—ნაფიცი ვექილის გეფშტეინის და სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ვარლამ მოსეშვილისა ტფილისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1919 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაზე ტფილისის ქალაქის გამგეობის განკარგულებით ირაკლი ანდრონიკოვის ბინის რეკვიზიციის შესახებ პროფესორ მოსეშვილის საჭიროებისათვის.

4. საჩივარი ტფილისის ქალაქის გამგეობის რწმუნებულისა—ნაფიცი ვექილის გეფშტეინისა ტფილისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე ტფილისის ქალაქის გამგეობის 1918 წლის 2 აპრილის განკარგულებით ავლაბრის კლუბის საზაფხულო შენობის რეკვიზიციის შესახებ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს საჭიროებისათვის.

მასწავლეგელთა ფორის

გურიის სახალხო მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა.

1919 წელს, 30 ნოემბერს, ქალ. ოზურგეთში შესდგა გურიის სახალხო მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა. ყრილობის თავმჯდომარეოდ არჩეულ იქნა ამხან. ლუკა კვიტაიშვილი, მდივნად გრიშა მახარაძე.

ყრილობის კანონიერებაზე ლაპარაკი არ არის, ვინაიდან მეორედ მოწვეულია. თავმჯდომარე ყრილობას გახსნილად აცხადებს და წინადადებას იძლევა გაირკვას რამდენ სათემო კავშირებიდან ესწრება დელეგატები. გამოირკვა: ყრილობას ესწრება 21 სათემო კავშირიდან 36 წევრი.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს სამაზრო კავშირის გამგეობის თავმჯდომარე პარმენ თოთიბაძე.

ის საერთოთ აცნობს ყრილობას გამგეობის მუშაობას უმთავრესი ყურადღება დელეგატთა ყრილობის დადგენილების თანახმად მიქცეული იყო ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებისაკენ.

მოდიოდა დეპეშები და წერილები სხვა და სხვა თემებიდან, რომლებზედაც გამგეობა იძლეოდა სათანადო პასუხს. დადებითად ამ კითხვის გადაწყვეტა მინდობილი იყო 16 ნოემბრის ყრილობისთვის, რომელიც არ შესდგა. გამგეობამ მიმართა, როგორც წერილობით, ისე დეპეშით დამფუძნებელ კრების ს.-დ. ფრაქციას ტ. განათლების სამინისტროს. ცნობები არის, რომ 100% მომატება პირველ დაწყებითი და უმაღლ. დაწყ. სასწავლებლის მასწავლებლებზე გავრცელდება. არკვევს სხვა კითხვებსაც. შეკითხვებზე იძლევა განმარტებას.

ყრილობა გამგეობის მუშაობას დამაკმაყოფილებელად სთვლის. კრება შეუდგა შემდეგი შეკითხვების განხილვას: 1) მატერიალური მდგომარეობა; 2) საერობო უმაღლ. სასწავ. მასწავლებელთა მდგომარეობა; 3) სამარხი კასა; 4) სასურსათო საკითხები; 5) მასწავლებელთა დამტკიცება, უმაღ. დაწყ. სასწავ.; 6) ხუთ წლეულები უმ. დაწყ. სასწავ. და პირველ დაწყებითი სასწავ. მასწავლებლების; 7) საერობო უმაღ. დაწყებ. სასწავლებლის მასწავლებელთა მდგომარეობა; 8) გათბობა- ანათება; 9) მასწავლებელთა დასვენება; 10) დაავადმყოფებულ მასწავლებლების შესახებ; 11) წიგნების მაღაზიის შესახებ; 12) უცენზო მასწავლებლების შესახებ; 13) სასკოლო საბჭო; 14) მდვდლები—მასწავლებლები; 15) მასწავლებელთა ჯამაგირის გადაგზავნის შესახებ; 16) კონგრესზე გასაგზავნ წარმომადგენელთა არჩევა; 17) უმაღლ. დაწყ. და პირველ დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელთა დაახლოვება ჯამაგირის მხრივ.

მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრება ადგენს: ყრილობამ მოისმინა რა გაზეთებში აღნიშნული ცნობები ჯამაგირების 100% მომატების შესახებ კმაყოფილდება და გადადის მორიგ საკითხზე საერობო უმაღლეს დაწყ. სასწავლებელის მასწავლებელთა მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს სოსო მელიქიშვილი. ის ამბობს, რომ ამ დროში მოსამსახურეები მეტ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან; მათ არა აქვთ პირდაპირი საშუალება არსებობის. ჯამაგირის დაპირებული დამატებების და განსაზღვრულ %-ის მიუღებლობა საარსებო საშუალებას უსპობს და მოითხოვს, რომ ეს კითხვა სათანადოთ გარკვეული და გაშუქებული იქნას ყრილობაზე.

შემდეგ კამათი იმართება მაზრაში უმაღლ. დაწყ. სასწავლებლის სიმრავლის ზამო. უმაღ. დაწყ. სასწავლებლის მასწავლებელთა ჯამაგირების დაკმაყოფილების შესახებ. კრება ერთხმად ადგენს: დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებულ იქნას ხსენებული სასწავლებლის მასწავლებლები გასულ თვეების ჯამაგირებში არა უგვიანეს დეკემბრის შუა რიცხვებისა, დეკემბრის ჯამაგირებთან ერთად. შემდეგ იმართება კამათი მაზრაში უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლების შემცირები შესახებ, ორატორების უმრავლესობა თავიანთ ვრცელ სიტყვებში ხაზ გასმით აღნიშნავენ, რომ მაზრაში უმაღლეს დაწყებითი სასწ. სოკოსავით გამრავლებამ თითქმის ჩაჰკლა პირველ დაწყებითი სასწავლებლები. გამოაცალა მასწავლელიდან ბევრი გამოცდილი და დამსახურებული მასწავლებელნი. ბევრი ჩვენი ამხანაგები გადავიდნენ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლებში და პირველ დაწყებითი სასწავლებლები კი დარჩა თითქმის გარიყული. პირადი შემადგენლობა ეხლანდელი უმაღლეს დაწყებითი სასწავ. მასწავლებლებისა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ბევრ ადგილებში ხალხი უკმაყოფილოა ასეთი შემადგენლობისა და გულ ნატკენიც არიან და ასეთი მოტივებით მოითხოვენ: მაზრაში შემცირებულ იქნას შესაძლებლობის ფარგლებში ასეთი სასწავლებლები. არის მოწინააღმდეგე აზრიც. კრება 21 ხმით 13-ს წინააღმდეგ ადგენს: შემცირებულ იქნას მაზრაში ორკლასი უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლების ფარდენობის გამორკვევა და სასწავლებლის დახურვა მიენდოს განათლების განყოფილებას. შემდეგ მოსმენილ იქნა პროექტი სამარხი კასის მაზრაში დაარსების შესახებ. კრება ერთხმად ღებულობს. ასეთი კასის დაარსება პრინციპიალურათ მიღებულ იქნა, მხოლოდ სათანადო წესდების შედგენა მიენდო სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატთა ყრილობას.

სასურსათო საკითხის შესახებ კრებას მოკლე პროექტს უდგენს გამგეობა, რომელიც დაახლოებით გამოიხატება შემდეგში: დაარსდეს სამაზრო კავშირთა ცენტრალური სასურსათო საწყობი და საწყობის საშუალებით გაუნაწილოს თემებს მიღებული სურსათი. ზაქრო წულაძე არსებითად ეწინააღმდეგება წარმოდგენილ პროექტს და მოითხოვს ასეთი საწყობის დაარსება უარყოფილ იქნას და დანაწილებულ იქნას სურსათი თემებში ერობის საშუალებით. არავითარ სავაჭრო კოოპერაციას მასწავლებლობა არ ჰკიდებს ხელს.

უმაღლეს დაწყებითი სასწ. მასწავლებელთა დამტკიცების შესახებ ყრილობა ადგენს: ეთხოვოს სამაზრო ერობის განათლების განყოფილებას დაჩქარებით წარადგინონ სახალხო განათლების სამინისტროში სია უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის მასწავლებლების და მათში ვინც ღირსია დამტკიცებულ იქნას თანამდებობაზე.

ყარამან ჭარცივაძის განცხადებით კრება ადგენს გარკვეულ იქნას ხუთ წლეულ დამატებებში ძირითად ჯამაგირებში შედის თუ არა და 100% მომატება მათზე ვრცელდება თუ არა. აგრეთვე გამოირკვას გასული წლის 1 სექტემბრიდან დეკემბრამდე ხუთ წლეულის კითხვა რა მდგომარეობაშია. და რატომ იანვრიდან არ იქნა გამოწერილი ამა 1919 წლისა ხუთ წლეულები.

გათბობა განათება მიეცეს ყველა მასწავლებლებს, როგორც ადგილობრივს ისე მოსულს. ამ კითხვის მოგვარება მიენდო ადგილობრივ საბჭოს.

მასწავლებლების დასვენების შესახებ კრებამ მოისმინა განათლების განყოფილების ინსტრუქტორის ვ. გოგუაძის განმარტება, რომ მაზრაში შემდეგში ერობას ეყოლება 3 სათადარიგო მასწავლებელი, რომლებიც დაიჭერენ დროებით ავათმყოფ მასწავლებლების ადგილს. კრება განმარტებით კმაყოფილდება.

წიგნის მაღაზიის კითხვა მოხსნილ იქნა დღის წესრიგიდან.

უცენზო მასწავლებლების შესახებ დადგენილ იქნა: ეს კითხვა ფართო მაშტაბით დაისვას საქართველოს მასწავლებელთა კონგრესზე და იქ იქნას გაშუქებული. დელეგატთ მასწავლებლებს კი ეძლევა სათანადო დირექტივები. მღვდელ მასწავლებლების შესახებ გატარებულ იქნას ცხოვრებაში მთავრობის განკარგულება და დელეგატთა ყრილობის დადგენილება. უკეთუ ეს დადგენილება რომელიმე მღვდელ-მასწავლებლის მიერ დარღვეულ იქნება ეცნობოს კავშირის გამგეობას და უკანასკნელის საშუალებით განათლების განყოფილებას.

ჯამაგირები თანახმად ერობის გამგეობის წევრის დაპირებისა თემებში, სადაც ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება არსებობს, გადაგზავნილ იქნება ფოსტით, და სადაც ასეთი არ არის, მილიციის საშუალებით.

კითხვას ჯამაგირების გადიდების შესახებ ანდობს კრება დელეგატებს კონგრესზე დასასმელათ.

კონგრესზე გასაგზავნ დელეგატების შესახებ დადგენილ იქნა: დელეგატათ არჩეულ მასწავლებლების ხარჯები გამოანგარიშებულ იქნას გამგეობის მიერ, გაწერილ იქნას საერთოდ ყველა მასწავლებელზე ერთდროულათ და გამორიცხული ჯამაგირებიდან.

დელეგატები დასახელებულ იქნას ყრილობაზე. დასახელებულ კანდიდატთა შორის არჩეულ იქნა შემდეგი პირები: 1, გაბრიელ გოგუაძე, 2, არსენ წითლიძე. 3, ლავრენტი წულაძე 4, ლუკა კვიტაიშვილი. 5, ზაქრო წულაძე. 6, სოსო მელიქიშვილი. 7, პარმენ თოთიბაძე 8, ავთონ ცინცაძე. 9, სიმონ რამიშვილი. 10, ვალერიან ხუნდაძე. 11, შალვა სამსონაძე: 12, ფოკა ცქვიტინიძე, 13, ბათლომე მეგრელიძე. 14 კარპეზ ბარამიძე 15, ავთანდილ შარაძე, 16, იასონ წუწუნავა, 17 ბესარიონ დოლიძე 18, პლატონ იმნაძე, 19, ონიფანტე რამიშვილი, 20, სოლომონ ზურაბიშვილი.

არჩევნებს კრება ადასტურებს.

კანდიდატებათ არჩეულ იქნა: ყარაშან ჭარცივაძე, მიხაკო კვაჭაძე, და ნიკიტა იმნაიშვილი.

ასურეთის თემის ყრილობა.

ამა წლის 14 დეკემბერს შესდა ასურეთის თემის ხმოსანთა საბჭოს ყრილობა, რომელზედაც დასასწრებლად გაემგზავრა ტფ. მაზრის ერობის გამგეობის წევრი ბ-ნი იშხანოვი.

—

საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ წინადადება მისცა ტფილისის მაზრის ერობის გამგეობას იდოს თავის თავზე, სახელმწიფო ფოსტისა და აგრეთვე ფულის გადაგზავნ-გადმოგზავნის საქმე აღმულად მანგლისის მიმართულებით. ამ საქმის შესახებ ამ ჟამად მუშავდება პირობები ამ ორ დაწესებულებათა შორის.

სალამოს კურსები.

ტფ. მაზრის ერობის გამგეობის დავალებით ადგილობრივ მცხოვრებ მღვდელ ნ. კანდელაკს მოუწყვია ზემო ავჭალაში მოზრდილთათვის სალამოს კურსები. მეცადინეობა წარმოებს ყოველ სალამოს, ჯერ-ჯერობით გახსნილია ორი განყოფილება, სადაც გადიან შემდეგ საგნებს: სამშობლო ენის წერაკითხვის ცოდნას, ანგარიშს, ბუნების მეტყველებას, საზოგადო ისტორიას და საქართველოს ისტორიას, მსმენელთა რიცხვი არის 46, რომელთგანაც 22 ქალია და დანარჩენი ვაჟები.

საერობო სკოლების დათვალიერება გარე-კახეთის რაიონში.

ტფილისში დაბრუნდა გარე კახეთიდან ტფ. სამაზრო ერობის სახალხო განათლების განყოფილების ინსტრუქტორი—გამგე ბ-ნი ი. გომელაური, რომელსაც დაუვლია თითქმის მეტი წილი საერობო სკოლებისა დაწყებული მარტყოფიდან ვიდრე მანავამდე.

მისი გადმოცემით ყველა სკოლებზე უფრო კარგ შთაბეჭდილებას ახდენს საგარეჯოსი და მანავის სკოლები; მეტადრე მანავისა, რომელიც მასწავლებელ ფირანიშვილის მეცადინეობით ჩაითვლება საუკეთესო სკოლათ, როგორც სწავლის დაყენების მხრივ, აგრეთვე თვით სკოლის მოვლისა და პატრონობის მხრივაც. ამის გამო ბ. ფირანიშვილს გამგეობამ გაუგზავნა სამადლობელი წერილი.

ჟურნალების გამოწერა.

ტფ. მაზრის ერობამ მის განკარგულებაში არსებულ ყველა სახალხო საერობო სკოლებს თავის ხარჯით გამოუწერა შემდეგი ჟურნალები: „ჯეჯილი“, „ნაკადული“ „განათლება„ და ქართული სკოლებისათვის შეიძინა ქართული მოძრავი ასოები.

უცხოეთი

(საქართვ. დეპ. სააგ.).

მოსკოვი. ჰელსინგფორსი. დეკ. 8. დანიის, შვეიცის, ნორვეგიის და ფინეთის სოც.-დემოკრატების და პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლებმა დაადგინეს 1920 წელ. 21 იანვარს კოპენჰაგენში მოიწვიონ სკანდინავიის მუშათა კონგრესი. ჰელსინგფორში. დეკ. 10 სტამბოლში აღმოაჩინეს შეთქმულება, რომელსაც მიზნათ ქონდა სულთანის ჩამოგდება და დიდი სულთანის აბდულ-გაბიდის შვილის მემკვიდრეთ გამოც. **სმოლ.** დეკ. 10 ჩრდილო დასავლეთის მთავრობის „ვესტნიკ“ი იუწყება, სოფიაში სასახლის წინ აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი და მეფის გადადგომას მოითხოვდა. სამხედრო ნაწილებმა დემონსტრატები გაჰფანტა.

ლიონი. დეკ. 9. ამერიკის ბეჭდვითი ბიუროს წარმომადგენელთან საუბრის დროს დ—ანუნციომ განაცხადა, ის არც იმპერიალისტია, არც მილიტარისტი, მაგრამ ის პოეტია, რომ მისი იდეალები პოეტის იდეალებია. ჯარისკაცათ შევიდა ამბოლოთ იმიტომ, რომ მისი სულიერი მისწრაფება იყო გესწორებია უსამართლობა.

ლიონი. დეკ. 9, დღევანდელ სხდომაზე უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა პოლონეთს სამხრეთ-სლავიას პორტუგალიას, საბერძნეთს და რუმინიას მიეცეს გერმანიის და ავსტრიის ფლოტიდან განსაზღვრული რიცხვი საყარაულო გემისა. ამ გემებს გადაცემამდე განიარაღებენ, მაგრამ ამ სახელმწიფოებს უფლება ეძლევათ ინგლისის და საფრანგეთის ქარხნებში შეიძინონ ზარბაზნები და გემები ისევ შეაიარაღონ.

მოსკოვი, დეკემბრის 11. საბჭოთა მთავრობის რწმუნებულმა ლიტვინოვმა კოპენგაგენში მოკავშირეთა ელჩებს გაუგზავნა მე 7 ყრილობის რეზოლიუცია საზავო წინადადებით. წერილით მან აუწყა ელჩებს, რომ ის რწმუნებულია და შეუძლია წინასწარი მოლაპარაკება აწარმოოს. ასეთივე განცხადება გაუგზავნეს კოპენჰაგენში ინგლისის დელეგატს ო'გრედის.

ჯ-ს დივიზიის შტაბი. დეკემბ. 11 დენიკინის ტყვეობიდან გამოქცეული წითელი არმიელი გადმოგვცემს: მტრის 9 ცხენოსანი პოლკი, რომელიც ჩვენს წინაღმდეგ იბრძოდა ძლიერ დაზიანდა. ფრონტის რაიონებში ყველა მამაკაცების მობილიზაცია გამოაცხადეს. ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია ჯარში გაჰყავთ. მტრის ნაწილებში უსურსათობის გამო უკმაყოფილება იზრდება. ქვეითა ნაწილებში დეზერტირობა გაძლიერებულია. მტრის ჯარს დიდ ზარალს აყენებს ძლიერ გავრცელებული სახადი. № ის ფრონტის შტაბის ცნობით გროზნოსთან (?) მწვანე არმიელებმა დენიკინის ორი პოლკი დაამარცხეს. ხელში ჩაიგდეს 5 ზარბაზანი და ტყვიისმფრქვეველები. ტუაპსე და მაიკოპი მწვანეების ხელშია. დერბენტი და ნახევარი პეტროვსკი აჯანყებულებმა ჩაიგდეს ხელში.

სასამართლოს სენატში.

საქართველოს სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტში მოსასმენად დანიშნული საქმეებისა.

1919 წ. დეკემბრის 18-ს დანიშნულია სხდომა დილის 10 საათზე; გასარჩევი საქმეებია:

1. საქმე № 18. ბრალდებულ გეორგ ოვაკის ძის გრიგორიარნცის დამცველის ნაფ. ვექილის მალალაშვილის საკასაციო საჩივარი ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე. ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 2 ნაწ. 913 მუხ. სასჯ. დებ.

2. საქმე № 23. ბრალდებულ ლავრენტი თოთაძის საკასაციო საჩივარი ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე. ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 2 ნაწ. 1455 და 1456 მ. სასჯ. დებ.

3. საქმე № 25. ბრალდებულ ნიკოლოზ გიორგის ძის რუსთიშვილის საკასაციო საჩივარი ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე. ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 2 ნაწ. 1180[1] მუხ. სასჯ. დებ.

4. საქმე № 29. სამოქალაქო მომჩივრის იაგორ სარაფანოვის ვექილის სპექტორის საკასაციო საჩივარი ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე. გრიგორი ჰოდპლეტიონნის საქმეზე, რომელსაც ბრალდება დანაშაული გათვალისწინებული 2 ნაწ. 1483 მუხ. სასჯ. დებ.

5. საქმე № 85. ბრალდებულ თევდორე ნიკოლოზის ძის გოგიას (კერძო) კასაციური საჩივარი სოხუმის ოლქის სასამართლოს დადგენილებაზე კასაციური საჩივრის მიუღებლობის შესახებ.

სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების საკრებულოს სხდომა დანიშნულია 20 დეკემბერს, განსახილველია შემდეგი საქმეები:

1. საჩივარი ტფილისის ქალაქის გამგეობის რწმუნებულის-ნაფიცი ვექილის ამირხანოვისა ტფილისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებაზე—ტფილისის ქალაქის გამგეობის 1918 წლის 11 ოქტომბრის განკარგულებით არტემია მეზუროვის სახლში კონტორა „ეროეაიასათვის“ ბინის მიცემის შესახებ.

2. საჩივარი ტფილისის ქალაქის გამგეობის რწმუნებულის—ნაფიცი ვექილის ამირხანოვისა ტფილისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებაზე ტფილისის ქალაქის გამგეობის 1918 წლის 3 თებერვლის განკარგულებით ალექსანდრე შამოვის ბინის სუხოროუკოვისათვის გადაცემის შესახებ.

3. საჩივარი ქალაქ ტფილისის გამგეობის რწმუნებული—ნაფიცი ვექილის გეფშტეინის და სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ვარლამ მოსეშვილისა ტფილისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1919 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაზე ტფილისის ქალაქის გამგეობის განკარგულებით ირაკლი ანდრონიკოვის ბინის რეკვიზიციის შესახებ პროფესორ მოსეშვილის საჭიროებისათვის.

4. საჩივარი ტფილისის ქალაქის გამგეობის რწმუნებულისა—ნაფიცი ვექილის გეფშტეინისა ტფილისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე ტფილისის ქალაქის გამგეობის 1918 წლის 2 აპრილის განკარგულებით ავლაბრის კლუბის საზაფხულო შენობის რეკვიზიციის შესახებ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს საჭიროებისათვის.

მასწავლეგელთა ფორის

გურიის სახალხო მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა.

1919 წელს, 30 ნოემბერს, ქალ. ოზურგეთში შესდგა გურიის სახალხო მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა. ყრილობის თავმჯდომარეოდ არჩეულ იქნა ამხან. ლუკა კვიტაიშვილი, მდივნად გრიშა მახარაძე.

ყრილობის კანონიერებაზე ლაპარაკი არ არის, ვინაიდან მეორედ მოწვეულია. თავმჯდომარე ყრილობას გახსნილად აცხადებს და წინადადებას იძლევა გაირკვას რამდენ სათემო კავშირებიდან ესწრება დელეგატები. გამოირკვა: ყრილობას ესწრება 21 სათემო კავშირიდან 36 წევრი.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს სამაზრო კავშირის გამგეობის თავმჯდომარე პარმენ თოთიბაძე.

ის საერთოთ აცნობს ყრილობას გამგეობის მუშაობას უმთავრესი ყურადღება დელეგატთა ყრილობის დადგენილების თანახმად მიქცეული იყო ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებისაკენ.

მოდიოდა დეპეშები და წერილები სხვა და სხვა თემებიდან, რომლებზედაც გამგეობა იძლეოდა სათანადო პასუხს. დადებითად ამ კითხვის გადაწყვეტა მინდობილი იყო 16 ნოემბრის ყრილობისთვის, რომელიც არ შესდგა. გამგეობამ მიმართა, როგორც წერილობით, ისე დეპეშით დამფუძნებელ კრების ს.-დ. ფრაქციას ტ. განათლების სამინისტროს. ცნობები არის, რომ 100% მომატება პირველ დაწყებითი და უმაღლ. დაწყ. სასწავლებლის მასწავლებლებზე გავრცელდება. არკვევს სხვა კითხვებსაც. შეკითხვებზე იძლევა განმარტებას.

ყრილობა გამგეობის მუშაობას დამაკმაყოფილებელად სთვლის. კრება შეუდგა შემდეგი შეკითხვების განხილვას: 1) მატერიალური მდგომარეობა; 2) საერობო უმაღლ. სასწავ. მასწავლებელთა მდგომარეობა; 3) სამარხი კასა; 4) სასურსათო საკითხები; 5) მასწავლებელთა დამტკიცება, უმაღ. დაწყ. სასწავ.; 6) ხუთ წლეულები უმ. დაწყ. სასწავ. და პირველ დაწყებითი სასწავ. მასწავლებლების; 7) საერობო უმაღ. დაწყებ. სასწავლებლის მასწავლებელთა მდგომარეობა; 8) გათბობა- ანათება; 9) მასწავლებელთა დასვენება; 10) დაავადმყოფებულ მასწავლებლების შესახებ; 11) წიგნების მაღაზიის შესახებ; 12) უცენზო მასწავლებლების შესახებ; 13) სასკოლო საბჭო; 14) მდვდლები—მასწავლებლები; 15) მასწავლებელთა ჯამაგირის გადაგზავნის შესახებ; 16) კონგრესზე გასაგზავნ წარმომადგენელთა არჩევა; 17) უმაღლ. დაწყ. და პირველ დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელთა დაახლოვება ჯამაგირის მხრივ.

მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრება ადგენს: ყრილობამ მოისმინა რა გაზეთებში აღნიშნული ცნობები ჯამაგირების 100% მომატების შესახებ კმაყოფილდება და გადადის მორიგ საკითხზე საერობო უმაღლეს დაწყ. სასწავლებელის მასწავლებელთა მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს სოსო მელიქიშვილი. ის ამბობს, რომ ამ დროში მოსამსახურეები მეტ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან; მათ არა აქვთ პირდაპირი საშუალება არსებობის. ჯამაგირის დაპირებული დამატებების და განსაზღვრულ %-ის მიუღებლობა საარსებო საშუალებას უსპობს და მოითხოვს, რომ ეს კითხვა სათანადოთ გარკვეული და გაშუქებული იქნას ყრილობაზ

ადერბეიჯანში.

ეკონომიური ურთიერთობა ოსმალეთთან.

მთავრობამ მიიღო ოსმალეთში მყოფ ადერბეიჯანის ელჩის მოხსენება, რომელიც ეხება ადერბეიჯან-ოსმალეთის ეკონომიურ ურთიერთობას. მოხსენებაში ნათქვამია, რომ მოკლე ხანში ბაქოს ჩამოვა წარმომადგენელი სხვა და სხვა დაწესებულებებსა და პირებთან მოსალაპარაკებლად სამეურნეო იარაღების შემოტანისა და სტამბოლსა და ბაქოს შორის ეკონომიურ ურთიერთობის დასამყარებლად.

ეროვნული მუზეუმი.

დეკემბრის 7-ს ბაქოში პარლამენტის ბინაზე გაიხსნა ადერბეიჯანის ეროვნული მუზეუმი.

შტატების შემცირება.

ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტრომ დაადგინა თავის უწყებაში შეამციროს მოსამსახურეთა შტატები.

საფუთი გიდასახადი.

მთავრობის დადგენილებით ბაქოს ქალაქის გამგეობას ნება მიეცა თავის სასარგებლოდ აჰკრიფოს საფუთი გადასახადი ბაქოდან გატანილ ნივთეულზე.

ჩაძირული ხხუნა.

ამ დღეებში ბაქოს ნავთსაალმშენებლოსთან ჩაიძირა აფრიანი ხხუნა „ისლამი“.

წესდება

საქართველოს კოოპერატიულ ბანკისა.

§ 7. აქციების მისაღები დროებითი მოწმობები მიეცემა მხოლოთ ხელის მომწერთ; მოწმობები შეიძლება გადაეცეს სხვა კოოპერატიულ დაწესებულებას მხოლოთ ბანკის საბჭოს ნებართვით კი; ეს გადაცემა უნდა აღინიშნოს ბანკის დავთრებში. მოწმობა, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული გამგეობის მიერ გამოცხადებულ აქციის ღირებულების ნაწილის გადახახადი, ამისათვის დაწესებულ ვადამდე, არ შეიძლება გადაეცეს ან დაეთმოს სხვა დაწესებულებას და ყოველგვარი მორიგება ასეთ მოწმობის და აგრეთვე იმ მოწმობის შესახებ, რომლის სხვაზე გადაცემის ნებართვა არ მიუცია ბანკის საბჭოს, გაბათილებულათ ჩაითვლება.

§ 8. მოწმობით რაიმე გადასახადის შეუტანლობისათვის ვადაზე, რომელიც გამოქვეყნებული იყო, გამგეობა ახდევინებს ხელის მომწერს ბანკის სასარგებლოთ ყოველ ვადა გადაცილებულ დღეში ინტერესს 5% წლიურს და ჯარიმას 5% წლიურსაც. ნომერი მოწმობისა, რომლითაც არ იქნება შეტანილი დანიშნულ ვადაზე გადასახადი, გამოქვეყნება „საქართველოს რესპუბლიკაში“, ორ ადგილობრივ გაზეთში და კოოპერატიულ პერიოდულ გამოცემაში. თუ ორი კვირის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციის მოხდენისა გადასახადი არ იქნება შეტანილი, ბანკის გამგეობა აცნობებს აქციონერებს, რომ მას განზრახული აქვს გაყიდვა გაუნაღდებელ მოწმობებისა. თუ. ვინიცობაა, აქციონერთა შორის არ აღმოჩნდა ერთი თვის განმავლობაში მოწმობის შეძენის მსურველი, გამგეობა ვალდებულია შეუდგეს მის გაყიდვას. ამის შემდეგ ვადა გასული მოწმობები გამოცხადდება გაბათილებულათ და ახალ შემძენთ ეძლევათ ახალი მოწმობები იმავე ნორმით და აღნიშვნით, რომ იგი ეძლევათ იმ მოწმობის მაგიერ, რომლითაც თავის დროზე არ იყო შეტანილი გადასახადი. გაყიდვით აღებული ფულით გაწეულ ხარჯების—დაწესებულ % და ჯარიმის გამოკლების შემდეგ, შეივსება შესატანი გადასახადი, რომელიც მოწმობის პატრონის მიერ არ იყო შეტანილი თავის დროზე; დანარჩენი ნაწილი კი უბრუნდება მოწმობის პატრონს.

შენიშვნა: წესები, რომლებიც დადგენილია 7 და 8 §§-ბით, უნდა დაბეჭდილი იყოს დროებით მოწმობებზე.

§ 9. აქციები საზოგადოებისა უნდა იყოს სახელობითი. ყველა აქციები უნდა ამოჭრილი იყოს წიგნიდან, რომელშიაც რჩება ტალონი; აქციები გაიცემა დანუმრული, ხელმოწერილი გამგეობის წევრების, მულალტერის და მოლარის მიერ და ბანკის ბეჭედ დასმული. ყოველ აქციას დართული უნდა ჰქონდეს კუპონების ფურცელი დივიდენდის მისაღებათ ათი წლის განმავლობაში; ამ ვადის გასვლის შემდეგ აქციის პატრონს ეძლევა ახალი კუპონის ფურცელი.

§§ 10. აქციონერი, რომელთაც ჰსურთ თავიანთ აქციების გაყიდვა, ამის შესახებ აცნობებენ გამგეობას, რომელიც ეძებს აქციების შემძენთ. იმ შემთხვევაში, თუ აქციები არ იქნება გაყიდული ერთი თვის განმავლობაში, გამგეობა უფლებას აძლევს აქციის პატრონს გაჰყიდოს იგი, მხოლოთ კოოპერატიულ დაწესებულებაზე კი.

§ 11. თუ კოოპერატიული დაწესებულება, რომელიც აქციონერათ იყო ბანკისა, ლიკვიდაციას მოახდენს, მის აქციებს მოეპყრობიან ისე, როგორც ბანკის წესდების § 10-შია აღნიშნული, თუ კოოპერატიულ დაწესებულებების წესდებაში ამის შესახებ არ არის გარკვეული რაიმე მუხლი, რომელიც არ ეწინააღმდეგება ბანკის წესდებას.

2. ბანკის ოპერაციები.

§ 12. ბანკს ნება ეძლევა აწარმოოს შემდეგი ოპერაციები: ა) დისკონტი ვექსილებისა, რომელთა განაღდებაც დანიშნულია, როგორც საქართველოში, ისე საზღვარ-გარეთ და აგრეთვე დისკონტი ყოველგვარი ვალდებულებისა, რომლებიც დაფუძნებულნი არიან სავაჭრო აღებ-მიცემაზე; ვადა განაღდებისა როგორც პირველზე, ისე მეორეზე არ უნდა იყოს ცხრა თვეზე მეტი; ბანკს შეუძლიან დისკონტით მიღებულ ვექსილებს და ვალდებულებათ გაუკეთოს თავის სახელით ინდოსამენტი და წარადგინოს დისკონტის მოსახდენათ.

ბ) წარმოება სესხის გაცემისა და კრედიტის გახსნა არა უგვიანეს ცხრა თვისა: 1) გირავნობით სახელმწიფო სარგებლობიანი ქაღალდების, პაიების აქციების, ობლიგაციების და გირავნობის ფურცლებისა; სესხი არ უნდა აღემატებოდეს ამ უკანასკნელთა საბირჟო ღირებულების 90%-ს; 2) კონოსამენტებით, საქონლის მოწმობებით (ვარრანტებით), სატრანსპორტო, რკინის გზის, სანაოსნო საზოგადოებათა კვიტანციების ისეთ საქონელზე, რომელიც ადვილათ არა ფუჭდება; ასეთ საბუთებით გაცემული სესხი არ უნდა აღემატებოდეს საქონლის ღირებულების ორ მესამედ ნაწილს და ამასთანავე ეს საქონელი უნდა დაზღვეული იყოს არა ნაკლებ 10%-ით მეტ ფასში სესხთან შედარებით; დაზღვევის ვადა უნდა ერთი თვით მაინც მეტი იყოს გირავნობის ვადასთან შედარებით და პოლისები უნდა ინახებოდეს ბანკში; 3) გირავნობით ძვირფას ლითონის და ოქროს მისაღებ ასიგნოვკების; სესხი ასეთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 90% დაკანონებულს (და არა საბირჟო) ღირებულების დასაგირავებელ ლითონისა და 4) გირავნობის ისეთ საქონლისა, რომელიც ადვილათ არ ფუჭდება; სესხის რაოდენობა ასეთი საქონლის, გირავნობით გაცემული არ უნდა აღემატებოდეს თვით საქონლის ღირებულების ორ მესამედ ნაწილს; დასაგირავებელი საქონელი უნდა ეღაგოს ცეცხლისაგან უშიშარ და, გამგეობის შეხედულებით, საიმედო ალაგას და დაზღვეული უნდა იყოს 10% მეტ ფასში სესხთან შედარებით; ვადა დაზღვევისა უნდა ერთი თვით მაინც მეტი იყოს, ვიდრე ვადა სესხისა; პოლისი უნდა ინახებოდეს ბანკში; ქირა შენობისა, სადაც ინახება საქონელი, გადახდილი უნდა იყოს, ერთი თვით მეტი, ვიდრე სესხის ვადაა.

შენიშვნა 1: რაოდენობა გირავნობით გაცემული სესხისა და გახსნილი კრედიტის, რომლებიც აღნიშნულია პუნკ. „ბ“ 2 და 3 მუხლში, ორი თვის ვადით შეიძლება გადიდებული იქნეს გირაოს ღირებულების 80%-მდე ბანკის გამგეობის და კრედიტის გამხსნელ კომიტეტის ერთხმივ გადაწყვეტილებით. საქონლის და საქონლის დოკუმენტების ნუსხას, რომლის გირავნობითაც შეიძლება გაიცეს სესხი ან გაიხსნას კრედიტი აღნიშნულ გადიდებულ ზომით, ამტკიცებს ფინანსთა მინისტრი.

ბანცხადება

ივანე მიხეილის ძე ბუციშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი აღებული 1910 წ. ივნისის 10 № 154 სიღნაღის სამოქალაქო სამ კლასიანი სასწავლებლიდან. ატესტატი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 367 3—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში შემოიტანა განცხადება მცხოვრებელმა ბაქოში ნაბერნუნის ქ. № 9. თეოდორე ექვთიმეს-ძე კატილოვსკიმ, რომ მისი ცოლი აპოლინარია ივანეს ასული კატილოვსკისა, უკვალოდ დაიკარგა 1917 წლიდან თიბათვეში, რის გამო თეოდორე ექვთიმეს-ძე კატილოვსკი თხოულობს მისგან განქორწინებას. ამიტომ, ყველა ვინც კი იცის უკვალოდ დაკარგულის აპოლინარია ივანეს-ასული კატილოვსკის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონის ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადებისა ორი კვირის განმავლობაში.

371 1—1

რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა თანახმად კავშირის საბჭოს დადგენილებისა აცხადებს წევრების საყურადღებოთ, რომ პირველ იანვრიდან 1920 . კავშირის მიერ გაცემული ყველა საწევრო ბარათები გაუქმებულად ითვლება. პირველ იანვრისათვის ყოველმა კავშირის წევრმა უნდა წარმოადგინოს კავშირში თავისი პატარა ფოტოგრაფიული სურათი, რის შემდეგ ამ სურათ დაკრული მიეცემა ახალი საწევრო ბარათი. (უ) 3—3

კეკორკ ალექსანდრეს ძე დავითიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დავთარი მისი სახლის, ლაზარევის ქ., № 48, 1919 წლ. 357 3—2

ყველა ადმინისტრაციის და სახალხო გვარდიის შტაბის საყურადღებოთ, სამტრედიის ოლქის სახალხო გვარდიის შტაბი ამით აცხადებს გაუქმებულათ 1 ნოემბრამდე 1919 წ. მიცემულ პირადობის და იარაღის ტარების მოწმობებს. 224 3—2

ჭყონდიდის საეპარქიო სასამართლო ამით აცხადებს, რომ 1919 წ. სექტემბრის 30-ს იქ შეიტანა თხოვნა ქ. სოხუმის მცხოვრების ანნა სპირონ ცეცვავას ასულის კოკორეკინისა განქორწინებაზე მეუღლე გრიგორი თეოდორეს ძის კოკორეკინისაგან. მოხსენებული მეუღლენი არიან დაქორწინებული სოხუმის სასაფლაოს ეკლესიაში 1911 წ. თებერვლის 13-ს მთხოვნელის, ანნა სპირიდონის ასულის კოკორეკინის, განცხადებით მას განშორდა მეუღლე გრიგოლ თეოდორეს ძის კოკორეკინი ტუაპსეში 1915 წ. და მას აქეთ არა აქვს თავის ქმარზე არავითარი ცნობა. ამ განცხადების ძალით ყველა, ვისაც მოეპოვება ცნობა გრიგოლ თეოდორეს ძის კოკორეკინის საცხოვრებელ ადგილზე, ვალდებულია ეს აუწყოს ორი თვის განმავლობაში სოხუმის საეპარქიო სასამართლოს. 181 1—1

ქ. ტფილისის მე-14 სამმრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნეხამა აბრამის ასულის იოფას და ზალმან ნოტაგესელევა იოფას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება იოფას ქონებაზე სამ. კან. კრებ. 1 ნ. X ტ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 194 1—1

ქ. ტფილისის მე-5 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ეკატერინე იაგორის ასულის დონდაროვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ქონებაზე მე-X ტ. 1 ნაწ. 1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში. 355 1—1

ვალერიან ისაკის ძე ახვლედიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქუთ. ქართულ გიმნაზიიდან აღებული 8 კლასის გათავების მოწმობა 1910 წ. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 373 3—1

იოსებ ნიკოლოზის ძე ციბაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული სოფ. ფარცხა-ნაყანების ერობიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 368 3—1

ცხადდება, რომ ტფილისის ოლქ. სასამ 1919 წ. ივნისის 14 ს დადგენილებით იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომლი თაც მოგება არ აქვთ მიზნათ დასახული შეტანილია „შვეიცართა კლუბი“. 0114 1—1.

ახალ-სენაკი, ნავთლული, სანაინი და აბაშა—სადალაქოები. განცხადების შეტანა შეიძლება პირადათ, ან ფოსტით. განცხადებას—თან უნდა ერთვას კვიტანციები, წინასწარ საწინდარის რაოდენობით: ცხელ-საჭმელიან ბუფეტებისთვის—1000 მან.; ცივ საჭმელიან ბუფეტებისთვის—500 მ. პალატკებისა და სადალაქოსთვის 200 მ. საწინდარის შეტანა შეიძლება სამმართველოს მთავარ კასაში, ან ერთერთ სადგურის კასაში, და თუ წინადადება არ იქნა მიღებული, ფული პატრონს დაუბრუნდება.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ექსპლოატაციის განყოფილებაში 10—2 საათამდე. 197 3—3

იაკინთე სამსონის ძე ჟღენტი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 407 აღებული 1918 წ. ნოემბრის 13. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 228 3—2

დავით შეიხ იაკოფ ისაკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ერთ წლიანი პასპორტი მიღებული 26 ნოემბ. 1919 წ. № 3083. ისპანიის ვიცე საკონსულოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 352 3—2

იაკობ ზაიველის ძე ვეჩხაიზერი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი აღებული ს. კონსტანტინოვსკის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 358 3—2

გრიგოლ რაჟდენის ძე კახაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტიდან № 220. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 340 3—2

გრიგოლ იოსების ძე ნემსაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: 1) მოწმობა მიღებული დიდ ჯიხაიშის თემის ერობის გამგეობიდან 23 ოქტომბ. 1919 წ. № 103. 2) ოთხი კლასის დამთავრების მოწმობა მიღებული დიდ ჯიხაიშიდან უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლიდან 14 აგვ. 1918 წ. № 95. და 3) ლათინური ენის გამოცდის ჩაბარების მოწმობა მიღებული მაჩაიძის კერძო გიმნაზიიდან. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 353 3—2

კონსტანტინე ვასილის ძე მორბედაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მილიციის სამმართველოდან აღებული უვადო პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უ) 3—2

დაკარგულია სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან ნ. მჭედლიშვილის მიერ აღებული მატრიკული № 1255. მატრიკული გაუქმებულათ ჩაითვალოს. 356 3—2

გრიგორი ნიკოლოზის ზე კეპულაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი ქუთაისის კოოპერატივის დამხმარებელ საზოგადოების საწევრო წიგნაკი, ბალაჯარის სადგურის უფროსის კანცელარიიდან აღებული მოწმობა იმაში, რომ კეპულაძეს ერგებოდა ოთხი თვის დამატებითი ჯამაგირი. აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 341 3—1

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება

ამით აუწყებს ბ.ბ. აქციონერთა, რომ იმ შემთხვევაში, თუ 1920 წლის 1 იანვრამდე შეტანილი არ იქნება აქციების ხვედრი ფული, თანახმად წესდების 20 მუხლისა, მყიდველთ ეკარგებათ უფლება აქციებზე და უკვე შეტანილი ფული, ხარჯების გამოკლებით დაუბრუნდებათ უკან.

236 3—1

კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობა

აუწყებს ბ. ბ. აქციონერებს, რომ მორიგი საზოგადო კრება, რომლის განსახილველი საგნები გამოცხადებული იყო „საქართველოს რესპუბლიკის“ დეკემბრის №№ 274, 275 და 276 შესდგება კვირას, 18 იანვარს 1920 წ. დილის 11 საათზე გამგეობის სადგომში, ქ. ტფილისში, ელისაბედის ქუჩა № 73.

ამ კრებაზე დასასწრებლად აქციებს ან მათ მაგიერ სახელმწიფო ბანკის და სხვა კერძო საკრედიტო დაწესებულებების მოწმობებს, რომ ამ მოწმობებში აღნიშნულ ნომრების აქციები მათ აქვთ შესანახად ან გირაოდ, და არ იქნებიან გაცემულნი მორიგი კრების მეორე დღემდე, გამგეობა მიიღებს ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილის 11 საათ. დღის 2 საათამდე, ზემოაღნიშნულ მისამართით; უკანასკნელი ვადა აქციების და მოწმობების წარმოდგენისა წესდების § 43 თანახმად, შესრულდება ორშაბათს, 5 იანვარს 1920 წ. დღის 2 საათზე. 237 1—1

კოოპერატივ „ედინენიეს“ გამგეობა და სარევიზიო კომისია იწვევს ბ.ბ. წევრებს კოოპერატივისას კვირას, დეკემბრის 21-ს, დილის 12 საათზე

საგანგებო საზოგადო კრებაზე

ყველა იმ კითხვების განსახილველად, რომლებიც დაკავშირებულია კოოპერატივის ეხლანდელ მდგომარეობასთან. თუ წევრთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა, მეორეთ კრება დანიშნულია დეკემბრის 28-ს. კრების ადგილი გამოცხადებული იქნება ცალკე. 342 1—1

რედაქტორის მოვალ. დრ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი